



გიორგი,
კეპი და
ვაშლის ხე

კლასი IV

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

გადაამუშავა **ლელა ქისტაურმა**

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



გიორგი, კეპი და ვაშლის ხე



ვინრო, ქვაფენილით მოკირწყლულ ქუჩაზე
ხის აივნისან სახლში ცხოვრობდა ერთი ბიჭი. ბიჭს
გიორგი ერქვა. გიორგი ჩვეულებრივი ბიჭი იქნე-
ბოდა გახუნებული ჯინსითა და კედებით, ძალიან
მორცხვი და გაუბედავი რომ არ ყოფილიყო.
სასეირნოდ სახლიდან შორს არასოდეს
გადიოდა.




უცხო ადამიანებს არასოდეს ესაუბრებოდა. ხშირად ნაცნობებსაც კი არ ესალმებოდა. მეზობლის ბავშვებთან თამაშსა და ლაპარაკს თავს არიდებდა. გაკვეთილებზე სულ ჩუმად იჯდა და მხოლოდ სხვებს უსმენდა. კამათში არასოდეს ერეოდა. თუ რამეს ჰკითხავდნენ, პასუხს არ სცემდა ან, უბრალოდ, მხრებს აიჩეჩავდა...



ერთ დღეს დეიდა ანამ გიორგის ახალი ლურჯი ფერის ქუდი აჩუქა. ქუდს დიდი კეპი ჰქონდა. გიორგის მოსწონდა თავისი ახალი კეპი, ის თვალებს უფარავდა. როცა ეს ქუდი ეხურა, სხვებს ხედავდა, ისინი კი მის სახეს ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ბიჭი თავს დაცულად გრძნობდა.

გიორგის სახლის უკან ლამაზი ბაღი იყო. ბაღში იდგა ბაბუას დარგული მაღალი, ხავსიანი ვაშლის ხე, რომელიც წვნიან წითელ ნაყოფს ისხამდა. გიორგის ძალიან უყვარდა ვაშლი. დღეში ორჯერ ბაღში გადიოდა და ბალახებში ხიდან ჩამოყრილ ხილს ეძებდა. ვაშლის დასაკრევად ხეზე არასოდეს ადიოდა, ძალიან ეშინოდა ჩამოვარდნის. წარმოიდგენდა ხოლმე: როგორ ტყდებოდა ტოტი ჭახანით და როგორ ეშვებოდა ძირს ქვასავით; როგორ ეცემოდა მიწაზე; როგორ მოდიოდა სასწრაფო დახმარების მანქანა სირენების კივილით და მიაქანებდნენ საავად-

მყოფოში; როგორ ნერვიულობდა დედა; როგორ
კარგავდა თვითონ გონებას პალატაში შეყვანი-
სას... ზოგჯერ ესიზმრებოდა, რომ ტოტებს შო-
რის გაიჭედა, დაბლა ველარ ჩამოდიოდა და ვერც
ვინმეს ეძახდა საშველად... მოკლედ, გიორგი
ხეზე არასდროს ადიოდა და მხოლოდ ძირს ჩა-
მოყრილი ხილით კმაყოფილდებოდა.



ერთ დილას გიორგიმ კეპი დაიხურა და ბაღში ვაშლის მოსაძებნად გავიდა. მოულოდნელად ძლიერმა ქარმა დაუბერა, ბიჭს ქუდი მოხადა, ზევით აიტაცა და ხის ტოტებში გახლართა. გიორგი გაფითრებული შესცქეროდა ქუდს. რა უნდა ექნა, როგორ დაებრუნებინა საყვარელი კეპი? თვითონ ხომ ვერ აძვრებოდა ხეზე და ახლომახლოც არავინ ჩანდა. ვინმე რომც ყოფილიყო, სულერთია, დახმარებას მაინც ვერ სთხოვდა. იგი ხომ ძალიან მორცხვი იყო. გრძელი ჭოკის მოძებნა სცადა, მაგრამ ვერსად ნახა.

იდგა ერთ ადგილას გაუნძრევლად და ქუდს თვალს არ აშორებდა. იმედი ჰქონდა, ქარი ისევ დაუბერავდა და კეპს ჩამოაგდებდა. მაგრამ სი-ოც კი არ იძვროდა. ქარი ისევე მოულოდნელად ჩადგა, როგორც ამოვარდა. ლოდინში საათზე მეტი გავიდა. გიორგი დაიღალა და ხის ქვეშ ჩამოჯდა. როცა ქარის დახმარების იმედი საბოლოოდ გადაეწურა, ხე ყურადღებით შეათვალიერა. ფიქრობდა, როგორ ამძვრალიყო მაღლა.



ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ხეზე ასვლა გადაწყვიტა. ახლოს მივიდა, ყველაზე დაბლა დახრილ ტოტს ხელი მაგრად ჩასჭიდა და აძრომა სცადა. ფეხებიც მიაბჯინა ხავსიან ხეს, მაგრამ აუსრიალდა, თავი ვერ შეიმაგრა და ჩამოვარდა. მეორედაც მოსინჯა, მაგრამ არც ამჯერად გამოუვიდა რამე. ბოლოს ძალა მოიკრიბა, ხეს ისევ ხელეებით ჩამოეკიდა, ფეხებიც შემოხვია, აიწია და ორ ტოტს შორის მხედარით დაჯდა. ცოტა ხანს შეისვენა და მომდევნო ტოტზე აძვრა.



მალე ქუდსაც შესწვდებოდა. გაუნძრევლად იჯდა, ხის ტანს ზურგით მიყრდნობოდა. ღრმად სუნთქავდა და ძალას იკრებდა. უეცრად ქარმა წამოუბერა და ხე შეარხია. გიორგი შეკრთა, სწრაფად შემოხვია ორკაპს ხელები. ქარი ჩადგა. ბიჭი ისევ გაუნძრევლად იჯდა და მალლა აძრომაზე ფიქრობდა.

უეცრად პატარა ბელურა მოფრინდა და გიორ-
გისთან ძალიან ახლოს ჩამოჯდა. ორი წამიც არ
იყო გასული, რომ მას რაღაც დიდი ნაცრისფერი
ფრინველი მოჰყვა. გულგახეთქილი ბელურა ხის
ნაპრალში შეიყუჟა. გიორგიმ მოასწრო და ნაც-
რისფერ ფრინველს ხელი ინსტინქტურად აუქნია.
ფრინველს შეეშინდა და გაფრინდა. ბელურა
გადარჩა. ის ცოტა ხანს კიდევ იჯდა ერთ ად-
გილას და მთელი ტანით კანკალებდა, მერე და-
იჟღურტულა და გაფრინდა. გიორგის გაელიმა.
აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ხიდან მთელი



ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა. ბიჭს უნდოდა ეყვირა, დაეძახა ვინმესთვის. ერთი სული ჰქონდა, დაენახათ, რომ ის ხეზე იდგა, მაღლა მარტოდმარტო და არაფრის ეშინოდა! მაგრამ ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. გიორგიმ ისევ თავის ქუდს ახედა, უფრო მაღლა აძვრა და კეპს მისწვდა. ტოტიდან მოხსნა და დაიხურა.

მერე იქვე რამდენიმე მწიფე ვაშლი შეამჩნია. ერთი ცალი მოწყვიტა და ჩაკბიჩა. ამდენი ნერვიულობის მერე წვნიანი ნაყოფი ესიამოვნა. კიდევ მოკრიფა და ჯიბეები სულ გაივსო. დედას ძალიან გაუკვირდებოდა, როცა ამდენ ვაშლს მიუტანდა.

ხიდან ჩამოსვლა ცოტა უფრო ეძნელა. მაგრამ მერე აღმოაჩინა, რომ თურმე სიმაღლის საერთოდ არ ეშინოდა. ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გაახარა და გაათამამა. თავდაჯერებულმა მშვიდად განაგრძო ჩამოცოცება. ორი წუთიც და უკვე მიწაზე იდგა.

გიორგი ბედნიერი იყო: ხეზე ავიდა, ბელურა სიკვდილს გადაარჩინა, კეპი დაიბრუნა და ჯიბეებიც გაივსო საკუთარი ხელით დაკრეფილი ვაშლით. ამ დღის შემდეგ მას ხეზე ასვლის აღარ ეშინოდა. მაგიდაზე ყოველთვის ეწყო წითელი ვაშლები და დედაც ხილის უგემრიელეს ნამცხვარს აცხობდა. გიორგი ნამცხვრით მეზობელ ბავშვებს ხშირად უმასპინძლდებოდა. სიამოვნებით თამაშობდა მათთან, კეპს კი მხოლოდ მზისგან დასაცავად იხურავდა.

